საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაევი ვასილ ივანეს ძე

ვ. აბაევი

აბაევი ვასილ ივანეს ძე [22. XII. 1899 (3. I. 1900), სოფ. კობი, ახლანდ. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, – 18. III. 2001, სანქტ-პეტერბურგი], ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი. ეროვნებით ოსი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1963), პროფესორი (1969), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984). ჩრდ. ოსეთის მეცნ. დამს. მოღვაწე (1957).

დაამთავრა ლენინგრ. უნ-ტი (1925), მუშაობდა მოსკოვში, რუს. მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინ-ტში. 1928–30 მოღვაწეობდა თბილისში, სსრკ მეცნ. აკად. კავკ. ისტ. და არქეოლ. ინ-ტში. მეორე მსოფლიო ომის წლებში – ცხინვალისა და ვლადიკავკაზის სამეცნ.-კვლ. ინ-ტებში. ა-ის მთავარ შრომებს – „ნართების ეპოსი“ (1945), „ოსური ენა და ფოლკლორი“ (1949), „ოსური ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ტ. 1–3, 1958–79; სსრკ სახელმწიფო პრემია, 1983) – დიდი მნიშვნელობა აქვს ირან. ენათა კვლევისათვის, ქართ.-კავკ. და ირანულ ენათა კონტაქტების შესწავლისათვის, აგრეთვე კავკ. ხალხთა ეთნოგრ. და ფოლკლორის საერთო ელემენტების კვლევის თვალსაზრისით.

საყურადღებოა მისი სტატიები: „არმაზის ბილინგვის გარშემო“ (საქართვ. მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. 5, № 8), «შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ფოლკლორული საფუძვლის შესახებ» (Известия АН СССР, 1966, т. 25, в. 4), «პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ» (თსუ შრომები, 1967, ტ. 118, სერია 6. რუს. ენაზე).

თხზ.: Избранные труды, т. 1, Владикавказ, 1990 Из осетинского эпоса, М.-Л., 1939; О некоторых осетинских элементах в грузинском языке, «Труды Ин-Та языкознания АН СССР», 1956, т. 6; Статьи по теории и истории языкознания. М., 2006.

ლიტ.: И с а е в М. И., Васо Абаев [Владикавказ], 1980.

მ. ანდრონიკაშვილი